

შპს „აგრო-კომ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-22

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შპს „აგრო-კომ“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აგრო-კომ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;
- კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 ივლისს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



ი. გ. ხვინიძე

ირაკლი მერკვილიშვილი/

/მარინე მერებაშვილი/

მე. ხვ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი
		31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	429869	135071
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	895067	286995
გადახდილი ავანსები	5	1294670	1001212
მარაგები	6	6393032	5598021
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	21288	27829
სულ მოკლევადიანი აქტივები		9033926	7049128
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	8	7329	8628
ძირითადი საშუალებები	9	2176762	2062864
სულ გრძელვადიანი აქტივები		2184091	2071492
სულ აქტივები		11218017	9120620
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		117386	188342
საგადასახადო ვალდებულებები		20149	19035
მიღებული ავანსები	12	1525440	148201
მოკლევადიანი სესხები	10	2485964	1052926
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5563	4910
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4154502	1413414
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	31675	81289
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		31675	81289
სულ ვალდებულებები		4186177	1494703
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	5020	5020
გაუნაწილებელი მოგება		7026820	7620897
სულ კაპიტალი		7031840	7625917
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11218017	9120620

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:


 (ირაკლი მერკვილიშვილი/

 /მარინე მერებაშვილი/

შპს „აგრო-კომ“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნები	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი
		31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები			
ნეტო ამონაგები	14	18832916	22503090
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	-15238136	-17545153
საერთო მოგება		3594780	4957937
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1029994	-839486
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-80865	-80597
საპროცენტო ხარჯი		-139183	-111453
იჯარის ხარჯი	16	-8583	-6152
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	-1652402	-1346760
სულ საოპერაციო ხარჯები		-2911027	-2384448
საოპერაციო მოგება		683753	2573489
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა მოგება/(ზარალი)		-123895	134830
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	18	69051	-38444
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		628909	2669875
მოგების გადასახადი	19	-65091	-4075
წმინდა მოგება/(ზარალი)		563818	2665800
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		0	0
სულ სრული შემოსავალი / (ზარალი)		563818	2665800

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



მ. ვაჩაშვილი
/ირაკლი მერკვილიშვილი/
/მარინე მერებაშვილი/

შპს „აგრო-კომ“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021 წ	5020	4955097	4960117
წლის მოგება	0	2665800	2665800
სულ სრული შემოსავალი	0	2665800	2665800
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
31 დეკემბერი 2022 წ	5020	7620897	7625917
წლის მოგება	0	563818	563818
სულ სრული შემოსავალი	0	563818	563818
გადახდილი დივიდენდი	0	-1157895	-1157895
31 დეკემბერი 2023 წ	5020	7026820	7031840

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:


 /ირაკლი მერკვილშვილი/

 /მარინე მერებაშვილი/

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრო-კომ“ საიდენტიფიკაციო ნომრით 404886414 დარეგისტრირდა საქართველოში 2011 წლის 3 თებერვალს.

დაარსების დღიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად :

- ირაკლი მერკვილიშვილი (01025010589) 50%
- მამუკა მერებაშვილი (59001017773) 50%.

კომპანიის დამფუძნებლები ჩართულნი არიან კომპანიის მართვაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით, ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით, დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 35 კაცს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 37 კაცი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 33 კაცი).

კომპანიის დირექტორია ირაკლი მერკვილიშვილი (პ/ნ 01025010589).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დილომი მესამე მიკრო, კორპუსი 3, ბინა N118.

შპს „აგრო-კომ“-ს არ გააჩნია ფილიალები. იგი წარმოდგენილია სამი სავაჭრო ობიექტით შემდეგ მისამართებზე :

- ქ.გორი, ცხინვალის გზატ.#8 , სადაც ასევე განთავსებულია სათაო ოფისი.
- გორი, სოფ. კარალეთი
- ქარელი, სოფ. სადოლაშენი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შპს „აგრო-კომ“-ის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 “მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და კაპიტალის მოძრაობის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

**საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი**

	აშშ დოლ.	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,6894	2,9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,7020	2,8444

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ნაშთებს.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ მყიდველებისგან მისაღები თანხები. საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში გადახდის ვადა და პირობები დგინდება ხელშეკრულებით კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე, ვადაგადაცილების შემთხვევაში კომპანია მიმართავს კლიენტს გაფრთხილებით რამდენჯერმე, რის უგულველყოფის შემდეგ კომპანია უფლებას იტოვებს იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, განბაჟებასა და ტრანსპორტირებასთან.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი პროფესიონალების მომსახურების ხარჯებს.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები	20-50 წელი
ნაგებობები	10-20 წელი
მანქანა-დანადგარები	7-10 წელი
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-30 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ბალანსიდან მოხსნა ხდება მისი გასხვისების დროს ან შესაბამისი ჩამოწერის აქტების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკან დაუბრუნებად გადასახადებს, აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის 10-წლიანი ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში. კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული სესხები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

მოგების გადასახადი

საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე. წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს მაშინ, როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოიყენებოდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკ.2023	31 დეკ.2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	353 589	79 853
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	44 897	52 772
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	31 383	2 446
ჯამი	429 869	135 071

ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
სავაჭრო მოთხოვნები	892 788	284 715
საექვო მოთხოვნები	2 279	2 280
ჯამი	895 067	286 995

დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშების თარიღისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს გამომუშავებულ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა გამომუშავება მოხდა, როგორც საანგარიშგებო პერიოდის, ასევე წინა პერიოდების განმავლობაში, თუმცა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ანაზღაურება ჯერ არ მიუღია.

5. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
ავანსები სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად	1 254 558	895 584
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ	28 602	72 436
ავანსები გადახდილი მომწოდებლებზე	9 537	31 320
ავანსები მომსახურებაზე	970	869
სხვა მოთხოვნები	1 003	1 003
ჯამი	1 294 670	1 001 212

6. მარაგები

	31 დეკ. 2023	შეძენა 2023	31 დეკ. 2022
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6 393 032	16 139 669	5 598 021
ჯამი	6 393 032	16 139 669	5 598 021

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31 დეკ. 2023	შეძენა 2023	31 დეკ. 2022
ტექნიკა	5 289 594	8 094 046	4 782 278
წვეთოვანი სისტემა	429 407	509 315	298 845
მცენარეთა დაცვა	257 562	3 601 573	220 272
სასუქები	170 872	3 070 351	77 119
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	245 597	864 384	219 507
ჯამი:	6 393 032	16 139 669	5 598 021

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკ. 2023	შეძენა 2023	31 დეკ. 2022
საწვავი	19 588	91 668	23 719
სხვა	1 700	9 544	4 110
ჯამი	21 288	101 212	27 829

8. არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	საბუღალტრო პროგრამები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	11 455	11 455
შეძენა	3 233	3 233
გაყიდვა	0	0
ჩამოწერა	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	14 688	14 688
შეძენა	0	0
გაყიდვა	0	0
ჩამოწერა	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	14 688	14 688
ცვეთა და ამორტიზაცია		
2021 წლის 31 დეკემბერი	4 911	4 911
ცვეთა წლის მანძილზე	1 149	1 149
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	6 060	6 060
ცვეთა წლის მანძილზე	1 299	1 300
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	7 359	7 360
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2021 წლის 31 დეკემბერი	6 544	6 544
2022 წლის 31 დეკემბერი	8 628	8 628
2023 წლის 31 დეკემბერი	7 329	7 328

კომპანია ფლობს შემდეგ საბუღალტრო პროგრამებს: "Fina", "Oris Accounting".

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშვნები	ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა 1	დაუმთავრებელი მშენებლობა 2	სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება											
2021 წლის 31 დეკემბერი	288680	161024	3000	601791	163145	17793	105218	86395	321668	11864	1760578
შეძენა	0	0	0	358919	15410	0	45543	67725	255811	0	743408
შიდა მოძრაობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გაყიდვა	0	0	0	0	0	1950	1694	0	149484	0	153128
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	1664	2424	0	0	4088
გადატანილია საქონელში	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადატანილია საქონლიდან ძ/ს-ში	0	0	0	0	0	0	0	4056	0	0	4056
2022 წლის 31 დეკემბერი	288680	161024	3000	960710	178555	15843	147403	155752	427995	11864	2350826
შეძენა	0	0	0	8515	98838	0	33333	17478	38472	0	196636
შიდა მოძრაობა	0	1246910	0	-969225	-277685	0	0	0	0	0	0
გაყიდვა	0	0	0	0	0	0	4137	1229	0	0	7737
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	11600	1784	1970	0	15354
გადატანილია საქონელში	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადატანილია საქონლიდან ძ/ს-ში	0	0	0	0	292	0	0	140	0	0	432
2023 წლის 31 დეკემბერი	288680	1407934	3000	0	0	11706	166765	170357	464497	11864	2524803
ცვეთა											
2021 წლის 31 დეკემბერი	0	39380	1200	0	0	12533	50773	38958	66958	9136	218938
ცვეთა წლის მანძილზე	0	5924	300	0	0	689	22164	12505	36484	1166	79232
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	1835	2832	1725	3816	0	10208
საქონელში გადატანილი აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	0	45304	1500	0	0	11387	70105	49738	99626	10302	287962
ცვეთა წლის მანძილზე	0	2103	300	0	0	550	22448	16441	37679	45	79566
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	2859	12621	2037	1970	0	19487
საქონელში გადატანილი აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	0	47407	1800	0	0	9078	79932	64142	135335	10347	348041
წმინდა საბალანსო ღირებულება											
2021 წლის 31 დეკემბერი	288680	121644	1800	601791	163145	5260	54445	47437	254710	2728	1541640
2022 წლის 31 დეკემბერი	288680	115720	1500	960710	178555	4456	77298	106014	328369	1562	2062864
2023 წლის 31 დეკემბერი	288680	1360527	1200	0	0	2628	86833	106215	329162	1517	2176762

10. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	პირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	მიზნობრიობა
ხელშეკრულება N76.9731	16.02.2023	16.02.2024	6,50%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	აშშ დოლარი	947 072	საბრუნავი საშუალებები
ხელშეკრულება N75.10079	07.08.2023	07.08.2024		განაღების თარიღში	ყოველთვიური	აშშ დოლარი	806 820	საბრუნავი საშუალებები
ხელშეკრულება N75.10310	07.11.2023	07.11.2024	7,70%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	აშშ დოლარი	732 072	საბრუნავი საშუალებები
სულ მოკლევადიანი სესხები							2 485 964	

11. გრძელვადიანი ნასესხები
სახსრები

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	პირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	კომერციული ფართის, საწყობის შემგებლობა.
ხელშეკრულება N76.4026	21.08.2017	21.08.2024	6.30%	ყოველთვიური	ყოველთვიური	აშშ დოლარი	31 675	
სულ გრძელვადიანი სესხები							31 675	

სესხის ხელშეკრულება #76.9731, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროკრედიტ ბანკს შორის 2023 წლის 16 თებერვალს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 16 თებერვლის ჩათვლით. აღნიშნული სესხით გადაიფარა სესხი #76.8449. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 947 071 ლარს (352 150 აშშ დოლარი). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე. 2024 წლის 13 თებერვალს სრულად დაიფარა აღნიშნული სესხი.

სესხის ხელშეკრულება #75.10079, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროკრედიტ ბანკს შორის 2023 წლის 07 აგვისტოს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 806 820 ლარს (300 000 აშშ დოლარს). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

სესხის ხელშეკრულება #75.10310, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროკრედიტ ბანკს შორის 2023 წლის 07 ნოემბერს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნული სესხით გადაიფარა სესხი #75.9423. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 732 071 ლარს (272 206 აშშ დოლარს). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

სესხის ხელშეკრულება #76.4026, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროკრედიტ ბანკს შორის 2017 წლის 21 აგვისტოს, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 11 777,71 აშშ დოლარს. 2023 წელს სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 3 458 ლარს (1 321 აშშ დოლარი), რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. სესხის ძირის და პროცენტის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

12. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელ შემოსავალში შედის მიღებული ავანსები.

13. კაპიტალი

კომპანიის მფლობელებს შორის კაპიტალი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ირაკლი მერკვილიშვილი - 50%
- მამუკა მერებაშვილი - 50 %

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 5 020 ლარს;

კომპანიის დამფუძნებელთა მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2011 წლის 07 თებერვალს. კაპიტალში შეტანილ იქნა 5 020 ლარი.

14. ნეტო ამონაგები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	18 758 183	22 420 980
ამონაგები მომსახურებიდან	74 733	82 110
სულ ნეტო ამონაგები	18 832 916	22 503 090

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან მოიცავს:

ტექნიკა	9 053 090
მცენარეთა დაცვა	4 533 471
სასუქები	3 429 590
წვეთოვანი სისტემა	556 621
სხვა	1 185 411
სულ ჯამი	18 758 183

15. გაყიდვების თვითღირებულება

რეალიზებული სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულებაა 15 238 136.

16. იჯარის ხარჯი

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
საწყობის იჯარა	1 500	1 500
სხვა იჯარა	7 083	4 652
ჯამი	8 583	6 152

სხვა იჯარაში შესულია გორის მუნიციპალიტეტისგან იჯარით აღებული მიწის ფართი სოფელ კარალეთში, საკადასტრო კოდი 66.46.21.059 (7 020 ლარი), რეკრეაციული ზოლის მოსაწყობად.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
ადმინისტრაციის ხელფასი	552 316	408 463
არაპირდაპირი ხელფასი	201 597	195 107
მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	229 674	137 123
საწვავის ხარჯი	95 798	96 931
ბანკის საკომისიო	51 361	63 385
საგადასახადო ხარჯი	40 522	67 057
სატრანსპორტო ხარჯი	23 814	22 086
მივლინება	56 556	30 002
წარმომადგენლობითი ხარჯი	26 391	34 198
ქონების გადასახადი	19 840	16 645
კომუნალური ხარჯი	33 988	30 054
საკომუნიკაციო	14 118	12 291
რეკლამის ხარჯი	11 992	8 985
საკანცელარიო ხარჯი	2 937	4 212
დაცვა	1 536	1 536
დაზღვევა	1 926	6 409
საპენსიო	32 277	26 741
საექვო მოთხ. დაკავშირებული ხარჯი	0	3 261
სხვა საერთო ხარჯი	255 759	182 274
სულ ადმინისტრაციული	1 652 402	1 346 760
და სხვა საოპერაციო ხარჯი		

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
არასაოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	5 372	156 031
შემოსავალი იჯარიდან	466	0
სხვა	87 484	97 386
ჯამი	93 322	253 417
არასაოპერაციო ხარჯები		
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(1 510)	(146 097)
სხვა ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	0	(1 932)
სხვა ხარჯი	(22 761)	(143 832)
ჯამი	(24 271)	(291 861)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	69 051	(38 444)

19. მოგების გადასახადი

გადახდილია მოგების გადასახადი 65 091 ლარი (2022 წ - 4 075 ლარი, 2021 წ - 4 590 ლარი). მოგების გადასახადით დაბეგრულია გაცემული დივიდენდის თანხა, ასევე, გადახდები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 13 თებერვალს კომპანიამ სესხის(#75.9731) გადასაფარად სს პროკრედიტ ბანკისგან აიღო სესხი - საკრედიტო ხაზი #75.10524 (საკრედიტო ხაზის ლიმიტი 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარი), რომელიც ძალაშია 2025 წლის 13 თებერვლის ჩათვლით. 2024 წლის 26 ივლისის მდგომარეობით, აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან ათვისებულია 314 789,50 (სამას თოთხმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა აშშ დოლარი და 50 ცენტი) აშშ დოლარი.

2024 წლის 23 ივლისს კომპანიამ შპს „ვაშლის აგრობალები“-სგან (ს/კ 404617517) აიღო სესხი #01-LE/0724. სესხის მოცულობა შეადგენს 329 000 (სამას ოცდაცხრა ათასი) ლარს. ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.

ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა

კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს, როდესაც სესხები აღებულია უცხოურ ვალუტაში და მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში, კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და, შესაბამისად, ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

ასევე მნიშვნელოვანი რისკია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად, არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებსა და კმაყოფილებაზე.

დადებითი გარემო ფაქტორები

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა, მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, აწარმოე საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://www.rda.gov.ge>). აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად აისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. გ. მ.
მ. ზ. მ.
/ირაკლი მერკვილიშვილი/
/მარინე მერებაშვილი/



შპს „აგრო-კომ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-22

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აგრო-კომ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;
- კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 ივლისს.

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი
		31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	429869	135071
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	895067	286995
გადახდილი ავანსები	5	1294670	1001212
მარაგები	6	6393032	5598021
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	21288	27829
სულ მოკლევადიანი აქტივები		9033926	7049128
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	8	7329	8628
ძირითადი საშუალებები	9	2176762	2062864
სულ გრძელვადიანი აქტივები		2184091	2071492
სულ აქტივები		11218017	9120620
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		117386	188342
საგადასახადო ვალდებულებები		20149	19035
მიღებული ავანსები	12	1525440	148201
მოკლევადიანი სესხები	10	2485964	1052926
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5563	4910
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4154502	1413414
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	31675	81289
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		31675	81289
სულ ვალდებულებები		4186177	1494703
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	5020	5020
გაუნაწილებელი მოგება		7026820	7620897
სულ კაპიტალი		7031840	7625917
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11218017	9120620

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნები	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის თარიღი
		31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები			
ნეტო ამონაგები	14	18832916	22503090
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	-15238136	-17545153
საერთო მოგება		3594780	4957937
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1029994	-839486
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-80865	-80597
საპროცენტო ხარჯი		-139183	-111453
იჯარის ხარჯი	16	-8583	-6152
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	-1652402	-1346760
სულ საოპერაციო ხარჯები		-2911027	-2384448
საოპერაციო მოგება		683753	2573489
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა მოგება/(ზარალი)		-123895	134830
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	18	69051	-38444
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		628909	2669875
მოგების გადასახადი	19	-65091	-4075
წმინდა მოგება/(ზარალი)		563818	2665800
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		0	0
სულ სრული შემოსავალი / (ზარალი)		563818	2665800

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

შპს „აგრო-კომ“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021 წ	5020	4955097	4960117
წლის მოგება	0	2665800	2665800
სულ სრული შემოსავალი	0	2665800	2665800
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
31 დეკემბერი 2022 წ	5020	7620897	7625917
წლის მოგება	0	563818	563818
სულ სრული შემოსავალი	0	563818	563818
გადახდილი დივიდენდი	0	-1157895	-1157895
31 დეკემბერი 2023 წ	5020	7026820	7031840

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრო-კომ“ საიდენტიფიკაციო ნომრით 404886414 დარეგისტრირდა საქართველოში 2011 წლის 3 თებერვალს.

დაარსების დღიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად :

- ირაკლი მერკვილიშვილი (01025010589) 50%
- მამუკა მერებაშვილი (59001017773) 50%.

კომპანიის დამფუძნებლები ჩართულნი არიან კომპანიის მართვაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით, ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით, დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 35 კაცს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 37 კაცი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 33 კაცი).

კომპანიის დირექტორია ირაკლი მერკვილიშვილი (პ/ნ 01025010589).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი მესამე მიკრო, კორპუსი 3, ბინა N118.

შპს „აგრო-კომ“-ს არ გააჩნია ფილიალები. იგი წარმოდგენილია სამი სავაჭრო ობიექტით შემდეგ მისამართებზე :

- ქ.გორი, ცხინვალის გზატ.#8 , სადაც ასევე განთავსებულია სათაო ოფისი.
- გორი, სოფ. კარალეთი
- ქარელი, სოფ. სალოლაშენი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შპს „აგრო-კომ“-ის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 “მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის

ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლ.	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,6894	2,9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,7020	2,8844

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ნაშთებს.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ მყიდველებისგან მისაღები თანხები. საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში გადახდის ვადა და პირობები დგინდება ხელშეკრულებით კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე, ვადაგადაცილების შემთხვევაში კომპანია მიმართავს კლიენტს გაფრთხილებით რამდენჯერმე, რის უგულველყოფის შემდეგ კომპანია უფლებას იტოვებს იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, განბაჟებასა და ტრანსპორტირებასთან.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი პროფესიონალების მომსახურების ხარჯებს.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები	20-50 წელი
ნაგებობები	10-20 წელი
მანქანა-დანადგარები	7-10 წელი
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-30 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ბალანსიდან მოხსნა ხდება მისი გასხვისების დროს ან შესაბამისი ჩამოწერის აქტების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკან დაუბრუნებად გადასახადებს, აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის 10-წლიანი ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში. კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული სესხები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

მოგების გადასახადი

საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე. წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს მაშინ, როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოიყენებოდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკ.2023	31 დეკ.2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	353 589	79 853
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	44 897	52 772
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	31 383	2 446
ჯამი	429 869	135 071

ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
სავაჭრო მოთხოვნები	892 788	284 715
საექვო მოთხოვნები	2 279	2 280
ჯამი	895 067	286 995

დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს გამომუშავებულ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა გამომუშავება მოხდა, როგორც საანგარიშგებო პერიოდის, ასევე წინა პერიოდების განმავლობაში, თუმცა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ანაზღაურება ჯერ არ მიუღია.

5. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
ავანსები სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად	1 254 558	895 584
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ	28 602	72 436
ავანსები გადახდილი მომწოდებლებზე	9 537	31 320
ავანსები მომსახურებაზე	970	869
სხვა მოთხოვნები	1 003	1 003
ჯამი	1 294 670	1 001 212

6. მარაგები

	31 დეკ. 2023	შეძენა 2023	31 დეკ. 2022
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6 393 032	16 139 669	5 598 021
ჯამი	6 393 032	16 139 669	5 598 021

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31 დეკ. 2023	შეძენა 2023	31 დეკ. 2022
ტექნიკა	5 289 594	8 094 046	4 782 278
წვეთოვანი სისტემა	429 407	509 315	298 845
მცენარეთა დაცვა	257 562	3 601 573	220 272
სასუქები	170 872	3 070 351	77 119
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	245 597	864 384	219 507
ჯამი:	6 393 032	16 139 669	5 598 021

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკ. 2023	შეძენა 2023	31 დეკ. 2022
საწვავი	19 588	91 668	23 719
სხვა	1 700	9 544	4 110
ჯამი	21 288	101 212	27 829

8. არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	საბუღალტრო პროგრამები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	11 455	11 455
შეძენა	3 233	3 233
გაყიდვა	0	0
ჩამოწერა	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	14 688	14 688
შეძენა	0	0
გაყიდვა	0	0
ჩამოწერა	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	14 688	14 688
ცვეთა და ამორტიზაცია		
2021 წლის 31 დეკემბერი	4 911	4 911
ცვეთა წლის მანძილზე	1 149	1 149
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	6 060	6 060
ცვეთა წლის მანძილზე	1 299	1 300
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	7 359	7 360
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2021 წლის 31 დეკემბერი	6 544	6 544
2022 წლის 31 დეკემბერი	8 628	8 628
2023 წლის 31 დეკემბერი	7 329	7 328

კომპანია ფლობს შემდეგ საბუღალტრო პროგრამებს: “Fina”, “Oris Accounting”.

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ნაგებობები	დაუთავრებელი მშენებლობა 1	დაუთავრებელი მშენებლობა 2	სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება											
2021 წლის 31 დეკემბერი	288680	161024	3000	601791	163145	17793	105218	86395	321668	11864	1760578
შეძენა	0	0	0	358919	15410	0	45543	67725	255811	0	743408
შიდა მოძრაობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გაყიდვა	0	0	0	0	0	1950	1694	0	149484	0	153128
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	1664	2424	0	0	4088
გადატანილია საკონსოლიდირებულში	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადატანილია საკონსოლიდირებულში	0	0	0	0	0	0	0	4056	0	0	4056
2022 წლის 31 დეკემბერი	288680	161024	3000	960710	178555	15843	147403	155752	427995	11864	2350826
შეძენა	0	0	0	8515	98838	0	33333	17478	38472	0	196636
შიდა მოძრაობა	0	1246910	0	-969225	-277685	0	0	0	0	0	0
გაყიდვა	0	0	0	0	0	4137	2371	1229	0	0	7737
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	11600	1784	1970	0	15354
გადატანილია საკონსოლიდირებულში	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადატანილია საკონსოლიდირებულში	0	0	0	0	292	0	0	140	0	0	432
2023 წლის 31 დეკემბერი	288680	1407934	3000	0	0	11706	166765	170357	464497	11864	2524803
ცვეთა											
2021 წლის 31 დეკემბერი	0	39380	1200	0	0	12533	50773	38958	66958	9136	218938
ცვეთა წლის მანძილზე	0	5924	300	0	0	689	22164	12505	36484	1166	79232
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	1835	2832	1725	3816	0	10208
საკონსოლიდირებულში გადატანილი აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	0	45304	1500	0	0	11387	70105	49738	99626	10302	287962
ცვეთა წლის მანძილზე	0	2103	300	0	0	550	22448	16441	37679	45	79566
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	2859	12621	2037	1970	0	19487
საკონსოლიდირებულში გადატანილი აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	0	47407	1800	0	0	9078	79932	64142	135335	10347	348041
წმინდა საბალანსო ღირებულება											
2021 წლის 31 დეკემბერი	288680	121644	1800	601791	163145	5260	54445	47437	254710	2728	1541640
2022 წლის 31 დეკემბერი	288680	115720	1500	960710	178555	4456	77298	106014	328369	1562	2062864
2023 წლის 31 დეკემბერი	288680	1360527	1200	0	0	2628	86833	106215	329162	1517	2176762

10. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	მიზნობრიობა
ხელშეკრულება N76.9731	16.02.2023	16.02.2024	6,50%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	აშშ დოლარი	947 072	საბრუნავი საშუალებები
ხელშეკრულება N75.10079	07.08.2023	07.08.2024		განაღების თარიღში	ყოველთვიური	აშშ დოლარი	806 820	საბრუნავი საშუალებები
ხელშეკრულება N75.10310	07.11.2023	07.11.2024	7,70%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	აშშ დოლარი	732 072	საბრუნავი საშუალებები
სულ მოკლევადიანი სესხები							2 485 964	

11. გრძელვადიანი ნასესხები
სახსრები

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	
ხელშეკრულება N76.4026	21.08.2017	21.08.2024	6.30%	ყოველთვიური	ყოველთვიური	აშშ დოლარი	31 675	კომერციული ფართის, საწყობის მშენებლობა.
სულ გრძელვადიანი სესხები							31 675	

სესხის ხელშეკრულება #76.9731, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2023 წლის 16 თებერვალს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 16 თებერვლის ჩათვლით. აღნიშნული სესხით გადაიფარა სესხი #76.8449. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 947 071 ლარს (352 150 აშშ დოლარი). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე. 2024 წლის 13 თებერვალს სრულად დაიფარა აღნიშნული სესხი.

სესხის ხელშეკრულება #75.10079, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2023 წლის 07 აგვისტოს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 806 820 ლარს (300 000 აშშ დოლარს). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

სესხის ხელშეკრულება #75.10310, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2023 წლის 07 ნოემბერს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნული სესხით გადაიფარა სესხი #75.9423. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 732 071 ლარს (272 206 აშშ დოლარს). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

სესხის ხელშეკრულება #76.4026, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2017 წლის 21 აგვისტოს, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 11 777,71 აშშ დოლარს. 2023 წელს სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 3 458 ლარს (1 321 აშშ დოლარი), რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. სესხის ძირის და პროცენტის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

12. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელ შემოსავალში შედის მიღებული ავანსები.

13. კაპიტალი

კომპანიის მფლობელებს შორის კაპიტალი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ირაკლი მერკვილიშვილი - 50%
- მამუკა მერებაშვილი - 50 %

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 5 020 ლარს;

კომპანიის დამფუძნებელთა მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2011 წლის 07 თებერვალს. კაპიტალში შეტანილ იქნა 5 020 ლარი.

14. ნეტო ამონაგები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	18 758 183	22 420 980
ამონაგები მომსახურებიდან	74 733	82 110
სულ ნეტო ამონაგები	18 832 916	22 503 090

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან მოიცავს:

ტექნიკა	9 053 090
მცენარეთა დაცვა	4 533 471
სასუქები	3 429 590
წვეთოვანი სისტემა	556 621
სხვა	1 185 411
სულ ჯამი	18 758 183

15. გაყიდვების თვითღირებულება

რეალიზებული სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულებაა 15 238 136.

16. იჯარის ხარჯი

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
საწყობის იჯარა	1 500	1 500
სხვა იჯარა	7 083	4 652
ჯამი	8 583	6 152

სხვა იჯარაში შესულია გორის მუნიციპალიტეტისგან იჯარით აღებული მიწის ფართი სოფელ კარაღეთში, საკადასტრო კოდი 66.46.21.059 (7 020 ლარი), რეკრეაციული ზოლის მოსაწყობად.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
ადმინისტრაციის ხელფასი	552 316	408 463
არაპირდაპირი ხელფასი	201 597	195 107
მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	229 674	137 123
საწვავის ხარჯი	95 798	96 931
ბანკის საკომისიო	51 361	63 385
საგადასახადო ხარჯი	40 522	67 057
სატრანსპორტო ხარჯი	23 814	22 086
მივლინება	56 556	30 002
წარმომადგენლობითი ხარჯი	26 391	34 198
ქონების გადასახადი	19 840	16 645
კომუნალური ხარჯი	33 988	30 054
საკომუნიკაციო	14 118	12 291
რეკლამის ხარჯი	11 992	8 985
საკანცელარიო ხარჯი	2 937	4 212
დაცვა	1 536	1 536
დაზღვევა	1 926	6 409
საპენსიო	32 277	26 741
საექვო მოთხ. დაკავშირებული ხარჯი	0	3 261
სხვა საერთო ხარჯი	255 759	182 274
სულ ადმინისტრაციული	1 652 402	1 346 760
და სხვა საოპერაციო ხარჯი		

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	31 დეკ.2023	31 დეკ. 2022
არასაოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	5 372	156 031
შემოსავალი იჯარიდან	466	0
სხვა	87 484	97 386
ჯამი	93 322	253 417
არასაოპერაციო ხარჯები		
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(1 510)	(146 097)
სხვა ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	0	(1 932)
სხვა ხარჯი	(22 761)	(143 832)
ჯამი	(24 271)	(291 861)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	69 051	(38 444)

19. მოგების გადასახადი

გადახდილია მოგების გადასახადი 65 091 ლარი (2022 წ - 4 075 ლარი, 2021 წ - 4 590 ლარი). მოგების გადასახადით დაბეგრილია გაცემული დივიდენდის თანხა, ასევე, გადახდები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 13 თებერვალს კომპანიამ სესხის(#75.9731) გადასაფარად სს პროკრედიტ ბანკისგან აიღო სესხი - საკრედიტო ხაზი #75.10524 (საკრედიტო ხაზის ლიმიტი 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარი), რომელიც ძალაშია 2025 წლის 13 თებერვლის ჩათვლით. 2024 წლის 26 ივლისის მდგომარეობით, აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან ათვისებულია 314 789,50 (სამას თოთხმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა აშშ დოლარი და 50 ცენტი) აშშ დოლარი.

2024 წლის 23 ივლისს კომპანიამ შპს „ვაშლის აგრობალები“-სგან (ს/კ 404617517) აიღო სესხი #01-LE/0724. სესხის მოცულობა შეადგენს 329 000 (სამას ოცდაცხრა ათასი) ლარს. ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.

ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა

კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს, როდესაც სესხები აღებულია უცხოურ ვალუტაში და მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში, კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და, შესაბამისად, ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

ასევე მნიშვნელოვანი რისკია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად, არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებსა და კმაყოფილებაზე.

დადებითი გარემო ფაქტორები

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა, მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, აწარმოე საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, კოოპერატივებისთვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსება და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://www.rda.gov.ge>). აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად აისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/